№ 155 | 1877—1899 | № 155

[ხ]უთშაბათი, 22 ივლისი, 1899 წ. | ხუთშაბათი, 22 ივლისი, 1899 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

[დ]ღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 24 ივლისს.

18 ივლისს გარდაიცვალა

## აზ. იოსებ ივანეს ძე ასათიანი.

მეუღლე მისი **ევპრაქსი იესეს ასული**, შვილი მათი **სოსიკო** და ასულნი: **იულია და კნეინა ვერა ფალავასი**, ძმა მისი **გრიგოლ** და სიძე თავადი **ყარამან ფალავა**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, თხოვენ მობრძანდნენ ნიკოლოზის ქუჩაზე საკუთარ სახლში № 156, საიდანაც პარასკევს 23 ამა მდგომარე თვეს გამოასვენებენ ცხედარს კუკიის სასაფლაოზედ $8^1/_2$ საათზე დილით. პანაშვიდები ყოველ დღე დღის 12 და საღამოს 7 საათზე. (1—116—1)

**სოფიო ივანეს ასული ფარუდავასი, ანასტასია ივანეს ასული ასათიანი და გრიგოლ დიმიტრის ძე ფარულავა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველნი ძმისა მათისა და უკანასკნელი ცოლის ძმისა

## აზ. იოსებ ივანეს ძის ასათიანისას.

ცხედარს გამოასვენებენ პარასკევს, 23 ივლისს, საკუთარი სახლიდგან, ნიკოლოზის ქუჩა, № 156, $8^1/_2$ საათზე დილით. პანაშვიდები დღით 12 საათზე და საღამოთი 7 საათზე. (1—108—1)

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდე[ი]სა, კა[ნ]ის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 [ს]აათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ. აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—18)

**წმ. ნინოს დედათა საქველ მოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ მომავალ სამოსწავლო წელს თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში მიიღებიან ახალი მოსწავლე ქალნი, თავისუფალ ადგილების რიცხვის მიხედვით, მხოლოდ მოსამზადებელ კლასში.

თხოვნები და ყოველგვარი მოწმობის ქაღალდები უნდა წარდგენილ იქნას სასწავლებლის კანცელარიაში არა უგვიანეს 15 აგვისტოსა, ხოლო ის ქალნი, რომელთაც ეგზამენი უნდა გარდაიხადონ, უნდა გამოცხადდნენ სასწავლებელში 1 და 2 სექტემბერს დილის 8 საათზედ. მოსწავლეთა მიღება კონკურსით იქნება.

განმეორებითი ეგზამენები დანიშნულია 26 აგვისტოსთვის დილის 8 საათიდგან. სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს.

ამასთან გამგეობა იუწყება, რომ სამოსწავლო გარდასახადი, როგორც პანსიონერმა და ნახევრად პანსიონერმა, ისე გარედგან მოსიარულე მოსწავლე ქალებმა უნდა წარადგინონ სავსებით: პირველი ნახევარი—1-ლ სექტემბერს, ხოლო მეორე ნახევარი—1 ლ იანვარს (პანსიონერმა—90 მან., ნახევრად პანსიონერმა 45 მან. და გარედგან მოსიარულემ—15 მან.)

ახლად მიღებული მოსწავლენი ვალდებულნი არიან წარადგინონ გარდასახადი ეგზამენის შემდეგ დაუყონებლივ. გარდასახადი მუსიკისა და სომხურის ენის სწავლებისათვის ცალკეა.

ის მოსწავლე ქალნი, რომელნიც დანიშნულ დროისათვის ფულს არ წარადგენენ, ჩაითვლებიან დათხოვნილებად. იმათ ადგილებზედ მიიღებიან ახალი მოსწავლე ქალნი. (3—უ.—3)

### პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. შ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** $7^1/_2$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ახალი ამბავი

*** თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გენერალ-მაიორი თავ. მაყაშვილი ღირს იქმნა შემდეგი საპასუხო დეპეშები მიეღო მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულისაგან და მათი იმპერატორებითი უმაღლესობის მემკვიდრე ხელმწიფის მიხეილ ალექსანდრეს ძისაგან:

„თქვენ მიერ გამოთქმული გრძნობა თელავის მაზრის თავად-აზნაურთა სახელით ჩემს დიდსა და უნუგეშო მწუხარების დროს ჩემთვის მეტად საგრძნობელი იყო. გულწრფელად გმადლობთ ყველას".

„**მარიამი**".

„გულწრფელად გმადლობთ თქვენ და თელავის მაზრის თავად-აზნაურთ თანაგრძნობისათვის".

„**მიხეილი**".

თავ. მაყაშვილისაგან გაგზავნილი იყო პეტერბურგში შემდეგი დეპეშები:

მის იმპერატორებით უდიდებუ-

## ფელეტონი

### ძეგლი

(პატარა ამბავი)

ზაფხულის საღამო იყო. პაპანაქე[ბ]ა სიცხე გრილ სიოს შეეცვალა, [რ]ომლის წყალობით სიცხისგან შე[წ]უხებული ხის ფოთლები რაღაც [უ]ცნაურად შრიალებდა. სულ ერთის [თ]ვის წინად მწვანით მოსილი ტყე [და] მინდორი ეხლა ძალზედ შეყვი[თ]ლებულიყო და ისე გამოიყურებო[და], თითქო ვისმე სთხოვს შებრალე[ბ]ას—ბუნების სიმკაცრისგან დამიფა[რ]ეო. ყველაფერს ზაფხულის ბეჭედი [ე]ასდებოდა, გარდა ქალაქ №-ს სასა[ფ]ლაოსას, რომელშიაც ჯერ ისევ [გ]აზაფხულის სუნი ტრიალებდა. მარ[თ]ლაც-და, ეს სასაფლაო ისეა დაბუ[რ]ული მრავალის ხით, რომ მზის [ც]ხოველი სხივები სწორედ ვერ [ა]ტანს მიწამდის. ამიტომაც არის, [ი]მ აქ ყოველთვის მწვანითაა მოსი[ლ]ი, თუნდა სხვაგან ამომხმარიც [ი]ყოს ყველაფერი.

სწორედ ამ საღამოს ავიღე თავი [და] გავწიე ამ სასაფლაოსკენ, მაგრამ [ა]რა იმდენად გასაგრილებლად, რამ[დ]ენადაც დარდების გადასაყრელად. [ს]აზოგადოდ, სასაფლაოზე სიარული ძლიერ მიყვარს და იმ ხანათ ხომ თითქმის ყოველ დღე დავიარებოდი ახლად გარდაცვალებულის ჩემის მეგობრის საფლავის სანახავად. ესეც რომ არ იყოს, სასაფლაო რაღაც საიდუმლოებითაა მოცული, ანუ ასეთად მიგვაჩნია, და ძალა-უნებურად თავისკენ გვიზიდავს, მეტადრე, როდესაც რაიმე მიზეზით ნაღვლიანადა ვგრძნობთ ჩვენს თავს.

საფლავის ქვების სხვა და-სხვა წარწერას რომ ვკითხულობ რაღაც უცნაური გრძნობა მებადება ხოლმე. რაგინდ დიდის აზრებით ვიყო გატაცებული, რა გეგმებსაც უნდა ვაწყობდე მომავლისთვის, აქ, სასაფლაოზედ ყველაფერი ფუჭად მიმაჩნია; ჩემი არარაობა და ის აზრი, რომ მეც ოდესმე ამ ადგილის მდგმური უნდა შევიქნე, ისე ნათლად მიდგება თვალ-წინ, თითქო ამ აზრების ბინა სასაფლაო ყოფილიყოს და არა კაცის გონება, აზროვნება... აი, მაგალითად, ერთის ქვის წარწერა: „მოდით მაშვრალნო და ტვირთ მძიმენო და მე განგისვენებთ თქვენ". ოჰ, რა მრავალ-მნიშვნელოვანია ეს სიტყვები, მეტადრე აქ, სასაფლაოზედ, სრულიად გაიწყდება, რომ მაცხოვარმა ეს სიტყვები სულ სხვა აზრით წარმოსთქვა თვისთა უკვდავ ბაგეთაგან და ძალა უნებურად გგონია, თითქო შავი სამარე გეუბნებოდეს ამას... სხვებისა რა მოგახსენოთ და მე-კი სასაფლაოზედ ყოველთვის ასე ვხსნი ხოლმე ამ სიტყვებს: „მოდით ცხოვრების ამაოებისგან გულ-მოკლულნო, და მე, სამარე, მოგასვენებთ თქვენ". . . . . . . . . . . . .

მივედი ჩემის მეგობრის საფლავთან და ისე დავაშტერდი, თითქო მიწას-კი არა, თვით ჩემს მეგობარს დავცქეროდი. თან ცრემლი ჩამომდიოდა თვალთაგან. კარგა ხანს ასე ვიყავ. ბოლოს გამოვბრუნდი და, ის იყო შინისკენ უნდა წავსულიყავი, რომ ჩემს შორი-ახლო ერთს ნაცნობს მოვკარი თვალი, რომელიც საუკეთესო ძეგლების ახლოს ტრიალებდა. იგიც ხშირად დადიოდა სასაფლაოზედ და ყოველთვის ამ ძვირფას ძეგლების წარწერას შეჰყურებდა, რაც საბუთს მაძლევდა მეფიქრა, რომ მათი შინაარსი მაზედაც ისევე ჰმოქმედებდა, როგორც ჩემზე, მით უფრო რომ დაღვრემილი და ფიქრებში გართული იყო ხოლმე...

ჩვეულებრივ მოსალმების შემდეგ, საუბრის საგანი უცებ შეცვალა და წამოწითლებით მითხრა:

— ისეთი ძეგლი უნდა ავიგო, რომ საუკუნოდ სახსენებელი ვიყო.

— ჩინებული აზრია, მივუგე მე: ადამიანი მუდამ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ ამ ქვეყნად დასტოვოს რამ სახსოვრად, თუ უნდა რომ მისი სახელი დაუვიწყარი იქმნას.

მეტის სიამოვნებით თვალები გაუბრწყინდა და აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა:

— ვეცდები.

როდესაც ერთმანეთს დავშორდით, დავიწყე ფიქრი: „უეჭველია ეს კაცი უბრალო მომაკვდავი არ უნდა იყოს, ისეთის საქმის გაკეთებას აპირებს, რომ მუდამ იხსენიებოდეს იგი, როგორც პუშკინი, თითონვე იდგამს ხელით უქმნელ ძეგლს. მართალია, პუშკინს ბევრი ხელით ქმნილი ძეგლიც დაუდგეს, მაგრამ ხელით უქმნელს არა შეედრება-რა. ერის გულში აგებული ძეგლი ბევრს ხელით ქმნილს ძეგლს ამოიჭამს, თუნდა ეს უკანასკნელი შესახედავად დიდებულიც იყოს.

—

ერთმა შემთხვევამ ჩემს ქვეყანას დამაშორა. ცხოვრების შეუბრალებელმა ტალღებმა ისეთს მხარეს განმტყორცნა, რომ არა თუ ვერ ვუცქერდი ჩემის სამშობლოს ბუნების დიდებულ სანახვებს, არამედ მისი ამბავიც კი არ მესმოდა!.. რას იზამ? ადამიანის ცხოვრება ისე უცნაურია, რომ არაფერი უნდა გვაკვირვებდეს... დიაღ, დიდხანს ვიყავ მოწყვეტილი ჩემს ქვეყანას და შორს, სადღაც უცხო მხარეში, უხმოდ ვიკლავდი გულში ათასს ნატვრასა და სურვილს... ოჰ, რამდენად საყვარელია სამშობლო, როდესაც ძალით განგაშორებენ მას!..

გავიდა ათიოდე წელიწადი, ჩემთვის-კი—მთელი საუკუნე... ბოლოს, როგორც იყო, ბოლო მოეღო ჩემს ობლად ხეტიალს უცხო მხარეში და განგებამ კვლავ მაღირსა ჩემი ტურფა სამშობლოს ნახვა. მართალია, მისმა არა სასურველმა მდგომარეობამ გული მომიკლა, მაგრამ რას იზამ, როდესაც

„ისევ აქ ტანჯვას ვრჩეობ,
ვიდრე სხვაგან სიყვარულს"...

როდესაც პირველ ალტაცების ჟამმა გაიარა, გამახსენდა ჩემის ყმაწვილობის დროის ამხანაგის საფლავი და გავეშურე სასაფლაოსკენ. გაზაფხულის მშვენიერი დილა იყო. სასაფლაოზედ დამყარებულიყო ნამდვილი სასაფლაოს შესაფერი მყუდროება, რომელსაც არა არღვევდა რა, თითქო ადამიანთა ცხოვრება შეკავშირებულიყო და მის ნიშნად ეს საზოგადო ბინა-ღა დარჩენილიყო... მხოლოდ დრო გამოშვებით მოისმოდა სიტვეა-გალობა სხვა-და-სხვა ფრინველთა, რომლებიც ხეებზედ შემსხდარიყვნენ და ნაღვლიანის კილოთი მოსთქვამდნენ თავიანთს დარდს, თითქოს მათი სატრფონიც იქვე განისვენებენო... ხის ფოთ-

ლესობას ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულს.

„თელავის თავად-აზნაურთ, გარდავიხადეთ რა პანაშვიდი განსვენებულ მემკვიდრის სულის მოსახსენებლად, ყოვლად შემძლებელ ღმერთსა ვსთხოვთ განაგრძოს თქვენი და თქვენი უავგუსტოესის შვილების სიცოცხლე ქართველ თავად აზნაურთა სასიხარულოთ“.

მისს იმპერატორებით უმაღლესობას მემკვირდრე ხელმწიფეს და დიდს მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს.

„თელავის თავად-აზნაურთა, გარდავიხადეთ-რა პანაშვიდი განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად ულრმეს მწუხარების თანამოზიარენი ვართ, რომელიც სამეფო-სახლს ეწვია. ღმერთმა გაკურთხოთ თქვენ ქართველ თავად-აზნაურთა სასიხარულოთ“.

*** 20 ივლისს ავჭალაში თავ. მუხრან-ბატონის ბაღში ამ უკანასკნელის მუშები წინ გადაეღობენ ტფილისის ქალაქის მუშებს, რომელთაც კედელი ამოჰყავდათ მდინარე მტკვრის მეორე ნაპირისაკენ გადასაგდებად, ტფილისის წყლის მილის არხისაკენ, და მუშაობა დაუშალეს. მუხრან-ბატონის მუშებმა მოითხოვეს აგრეთვე, რომ ქალაქის მუშებს მაშინვე დაერღვიათ უკვე ამოყვანილი კედელი. თავისის საქციელის მიზეზად მუხრან-ბატონის მუშები იმას ასახელებდნენ, რომ ქალაქის მუშებმა მუხრან-ბატონის არხი გააფუჭესო, რომლითაც ბაღი ირწყვებოდა, ასე რომ ეხლა იმ არხში წყალი აღარ მოდისო. არავითარმა თხოვნამ და მუდარამ ქალაქის ტეხნიკის ბ-ნ ლისიციანისა, რომელიც ხსენებულ სამუშაოს წარმოებდა, არ გასჭრა და ამოყვანილი კედელი დარღვეულ იქმნა. ამის გამო ტფილისს რამდენიმე დღის განმავლობაში წყალი შემოაკლდება.

ქალაქის გამგეობამ, 21 ივლისს აუწყა ეს ამბავი ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს, დახმარება სთხოვა, რომ დაუბრკოლებლად შეეძლოს ქალაქს მდინარის გადასაგდები კედლის ამოყვანაო. ამასთანავე გამგეობამ მისწერა თავისს ტეხნიკს ლისიციანს, რომ მუხრან-ბატონის არხი თუ მართლა გააფუჭეს ქალაქის მუშებმა, დაუყონებლივ გააკეთებინე და თვალყური ადევნე მუშაობის დროს კიდევ აღარ გააფუჭონო.

*** საალებ-მიცემო ამხანაგობის „შუამავალის“ წევრთა კრებამ ამხანაგობის საქმეთა წარმოება, ლ. ალნიაშვილისაგან მმართველის თანამდებობაზედ თავის დანებების გამოდროებით შემდეგს კაცებს მიანდო: კოლელაშვილს, ტარიელაშვილს და კვაჭაძეს. ეს კაცები აწარმოებენ ამხანაგობის საქმეებს მანამ, ვიდრე ბ-ნ ილია ალხაზიშვილის მეთაურობით ახალი წრე შესდგებოდეს, რომელმაც უნდა მოაგროვოს ფული ამხანაგობის საქმეთა ფეხზედ წამოსაყენებლად.

*** ამ თვის დამლევს ან აგვისტოს დამდეგს ტფილისში მოელიან ბუხარის ემირს, რომელიც აქ რამდენსამე დღეს დარჩება.

*** 15 ივლისს ტფილისის ებრაელთა პირველ სამლოცველოში განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლ ლოცვის გარდახდის შემდეგ, ხახამის წინადადებით მოგროვილ იქმნა, განსვენებულის სახსოვრად, ტფილისის გუბერნიის სეტყვით დაზარალებულ გლეხთა სასარგებლოდ. 101 მან. და 50 კ., რომელიც ხახამმა ტფილისის გუბერნატორს გაუგზავნა.

*** დაიბეჭდა ახალი წიგნი: „ქართული გალობა ქართლ-კახურ კილოზედ ლიტურგია“. ამ წიგნში მოთავსებულია წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესი, მ. იპპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტებზედ გადაღებული, მღვდელთა ვ. და პ. კარბელაშვილთა, ა. მოლოდინაშვილის და გ. მღებრიშვილის დახმარებით. წიგნი ღირს ორი აბაზი და იყიდება ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის სახლებში, სიონის ტაძრის ეზოში.

*** პოლიცმეისტერის თანამდ. აღმასრულებლისა და სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორის მოლაპარაკებით, ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა დათვალიერება ქალაქში მიენდოთ ადგილობრივ ბოქაულებსა და მკურნალთ.

*** ქალაქის გამგეობა ამ ჟამად იძევს დაფასების უწყებაში აღმოჩენილ სიყალბეს, რომელიც ჩაუდენია საბჭოს ერთ-ერთ ხმოსანს, წევრს ქალაქის დამფასებელ კომისიისას. ეს საქმე გამოძიების შემდეგ გადაეცემა ადგილობრივის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს.

*** ახალციხის ქალაქის მამასახლისმა 19 ივლისს სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, გამოგვიგზავნეთ ახალციხეში მცოდნე კაცი ჩვენის ქალაქის მახლობლად მყოფ დარამოღლიონის მადნეულ წყლების გამოსაკვლევადაო.

*** 18 ივლისს ამიერ-კავკასიის გლეხთა ადგილ-მამულის მოსაწყობ სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი სტატს სოვ. პარკიცკი როცა ღამით ქ. შუშაში ბრუნდებოდა ეტლით, გაურთხილებლობის გამო ხრამში გადავარდა და სასიკვდილოდ დაიმსხვრა.

*** უფროსმა სავაჭრო სამეურნეო ზედამხედველმა ბ-ნმა ჯაბადარმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ახლად შემუშავებულ სავალდებულო დადგენილებათა პროექტი პურის ვაჭრობის შესახებ.

*** ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა საგუბერნიო მთავრობის წინაშე ძროხისა და ცხვრის ხორცის ნიხრის 7 კაპიკამდე დაკლების შესახებ.

*** 20 ივლისს პასტერის საბაქტერეოლოგიო სადგურზედ მიიყვანეს სოფ. გლდანიდგან ორი გლეხი-კაცი, რომელნიც იქ ცოფიან მგელს დაეკბინა.

*** ამ დღეებში მთელს ქუთაისის გუბერნიაში დიდი წვიმები მოვიდა.

*** სოფ. მაჩხაანში დაარსებულ იქმნა სასოფლო ქსენონი, რომლის მკურნალად დანიშნულია თავ. პ. ნ. დიასამიძე.

*** განზრახვა აქვთ სასოფლო ქსენონები დააარსონ სოფ. ახალქალაქსა და ქარელში.

*** მომავალ შემოდგომის დამდეგიდგან ს. ქარელში პროვიზორის ალ. პ. ბეშკენაძის-მიერ დაარსებულ იქმნება აფთიაქი.

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა წინადადება მისცა მაზრის უფროსებს და პოლიცმეისტერებს, გააფთხილეთ ჩემ ხელ-ქვეით მყოფ დაწესებულებათა მოხელენი, რომ ისინი ნუღა მთხოვენ ხოლმე სამსახურში აღმატებას, რადგან ასეთი მათი აღმატება მთავრობის ნებისაგან არის დამოკიდებული და ვინც ღირსია, ის მისგან უთხოვნელად და გაუხსენებლადაც მიიღებს აღმატებასო („ჩერნ. ვ.“)

*** გ. გ. ასათიანისა, რომელიც უ—ძესთან სცხოვრებდა, და რომლის შესახებ ამ უკანასკნელმა ამ დღეებში პოლიცმეისტერს განუცხადა, რომ ეს ორი დღეა, სახლიდამ გავიდა და აღარ დაბრუნებულაო, როგორც ისმის, ავჭალაში ასულა და იქ მტკვარში გადავარდნილა, მაგრამ დახრჩობას გადურჩენიათ. რაგვარად საწყალი ქალი მტკვარში გადავარდნილიყო თავის დასახრჩობად, ჯერ არ იციან.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა მოახსენა ტფილისის გუბერნატორს, რომ 1-ლ აპრილიდგან 1-ლ ივლისამდე პოლიციის მოსკლეთ აჰკრიბეს ქალაქის უძრავ ქონებებზედ დარჩენილი სახელმწიფო გარდასახადი 7,307 მან. და 69 კაპ. ასაკრები იყო სულ 24,739 მან. და 6 კაპ.; ხოლო ქალაქის უძრავ ქონებებზედ დარჩენილი საერო გარდასახადი აჰკრიბეს 6,917 მან. და 25 კაპ. ასაკრები იყო სულ 39,952 მან. და 87 კაპ.

*** რადგან ზოგიერთი ბოქაულები სწორედ არ ასრულებენ პოლიცმეისტრის ბრძანებას, ამის გამო პოლიცმეისტრის თანამდ. აღმ. კოვალევმა გააფრთხილა ისინი, ყოველ ასეთ თქვენს უყურადღებობას ამის შემდეგ გუბერნატორს მოვახსენებ ხოლმეო.

*** იმ „კვასის“ გამოკვლევამ, რომელიც გიორგიევის დუქნიდგან იყო წაღებული („ლონდონის სასტუმროში“ 15 კაცის მოწამვლის გამო), აღმოაჩინა, რომ ეს კვასი არავითარ შხამსა და მავნებელ ნივთიერებას არ შეიცავს. ამიტომ გიორგიევს უფლება მიეცა ჰყიდოს თვისი კვასი. ხოლო ესეიანცის დუქნიდგან წაღებულ კვასსა და აგრეთვე ხსენებულ სასტუმროდგან წაღებულ სხვა და სხვა გვარ საჭმელებს ჯერ კიდევ იკვლევენ.

## წერილი კახეთიდამ

(იობის ეშმაკი და სოფ. შილდის ორ-კლასიანი სამრევლო საოსტატო სასწავლებელი)

მოგეხსენებათ, მკითხველო, თელავის მაზრას ერგო ერთი ახალი ტიპის სკოლა. ეს გახლავთ, „ორ-კლასიანი საეკლესიო სამრევლო სკოლა“. ჩვენს კურთხეულს კახეთში ისეთია სკოლების ნაკლებულობა, რომ ზოგს სკოლაში 65—130 მოსწავლემდეა, თუმცა ამასთანავე არის სკოლები, რომლებიც მოსწავლეებს თვით დაეძებს და ვერ უპოვია. უადგილოდ მი-

---

ლებსა და ბალახს ცის ნამი დასდებოდა და ისე ჰბრწყინავდა, თითქო ბრილიანტები ასხიაო. ზოგიერთ მდიდართა საფლავების გარშემო მდგარი გაფურჩქვნილი ყვავილ ვარდები უხვად ავრცელებდა კეთილ სურნელოვანებას, რომელიც უფრო საიდუმლოდ ხდიდა ამ ისეც საიდუმლოებით მოცულს ადგილს...

როგორც იყო ვიპოვნე ჩემის საყვარელის მეგობრის საფლავი და ცრემლ-მორეული დავეშვი ზედ. ღმერთო ჩემო, რა არ გამახსენა ამ საფლავის დანახვამ! თვალ წინ წარმომიდგა ჩემი ყმაწვილობა, რომელიც ისე მჭიდროთ იყო დაკავშირებული ჩემს ქვეშ მდებარე გვამის სიყმაწვილესთან. რატომ მეც მაშინ არ მოვკვდი, რომ ამდენი ტანჯვა არ გამომევლო! ოჰ, სიყმაწვილევ, სიყმაწვილევ! რა ტკბილი სახსოვრებითა ხარ სავსე, როდესაც სიცალიერით გავსილს აწმყოს გადარებ! გულს ვეღარ ვიმაგრებდი და ღაპა-ღუპით ჩამოდიოდა ცრემლი. წარმოიდგინე, მკითხველო: მისის გარდაცვალების დროს არ მიტირნია ისე მწარეთ, როგორც ეხლა, რამდენისამე წლის შემდეგ! შეიძლება იმიტომ, რომ მაშინ ვსტიროდი მხოლოდ ჩემს საკუთარ ამხანაგს, რადგანაც ჯერ. ისევ ყმაწვილს სწორედ არ მესმოდა ცხოვრების სხვა გარემოებანი. ეხლაკი ვტიროდი ყველა გაჭირვებულთა ამხანაგსა და მფარველს კაცობრიულის გრძნობებისას... მართალია, უბრალოდ არ ჩაატარა თავისი ხან-მოკლე სიცოცხლე და თავისი წილი სარგებლობა უკვე მოიტანა,—მაგრამ ვინ იცის უფრო რამდენს სარგებლობას მოუტანდა კაცობრიობას, რომ ეცოცხლა!.. დიდხანს დავცქეროდი მისი საფლავის წარწერას და უნებურად ვიმეორებდი: „ვინ უწყს, ვინ უწყს“ მეთქი. ეს წარწერაც:

„გაუფურჩქვნელად დააძრა
ტურფა კოკორი ვარდისა!
ვინ უწყს გაშლილსა ელოდა
განქარვება სხვის დარდისა“?..

მართლაც და ვინ იცის რამდენს გაჭირვებულს განუქარვებდა დარდს, რომ დასცალებოდა „გაშლა“?.. რა უნდოდა უწყალო ბუნებას, რომ ასე უდროვოთ გამოასალმა წუთი სოფელს? განა ეს სამართალია!?.. მაგრამ რას ვამბობ: ბუნება ისე ღმობიერი როდია, რომ სიმართლეს მისდევდეს...

იქნება კიდევ დიდხანს დავრჩენილიყავ იქვე, რაღაც ხმაურობას რომ არ გამოვერკვიე. მივიხედ-მოვიხედე და ერთს ვიღაც უცნობს მოვკარ თვალი. ხელში ყვავილების გვირგვინი, ეჭირა და ერთის საფლავისაკენ მიეშურებოდა. აგერ კიდეც მივიდა და ზედ დაადო. ვინ იცის განსვენებულს ეკლების მეტი არა ახსოვდარა სიცოცხლეში!.. ეხლა კი გვირგვინებით ამკობენ ხალხის თვალის ასაბმელად!.. ოჰ, თვალთმაქცობავ, რა ძლიერა ხარ გამჯდარი ჩვენს ბუნებაში!..

ცრემლები მოვიწმინდე და დაძმარებული გამოვბრუნდი. უცებ თვალი მოვკარ ერთს მშვენიერ ძეგლს და გავეშურე არა იმიტომ, რომ დამტკბარვიყავ მისის მშვენიერებით, არამედ შემეტყო—ვისთვის იყო იგი ამართული. მთელი ჩემი ყურადღება მიიპყრო ოქროთი მოვარაყებულმა წარწერამ:

„ეს ძეგლი ჩემგნით არს აგებული,
მით არ ვიქმნები დავიწყებული“.

მეორე მხარეს ეწერა: „აქ განისვენებს გვამი №-სა (ჩამოთვლილი იყო წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი). როგორღაც მენიშნა, თითქო ეს სახელი და გვარი სადღაც გამეგონა. ბოლოს გამახსენდა, რომ ეს ძეგლი სწორეთ იმ კაცს ეკუთვნოდა, რომელიც გაიძახოდა: „ისეთი ძეგლი უნდა დავიდგა, რომ საუკუნოთ სახსენებელი ვიყოვო“. წარმოიდგინე, მკითხველო, ჩემი სიხარული. წუთის წინ გულზედ დაწოლილი ნაღველი გულიდან გადამეყარა და რაღაცა გამოუთქმელი სიხარული ვიგრძენი, არა იმიტომ, რომ ამ ღვარძლით სავსე ქვეყანას მიჰშორებოდა, არამედ იმიტომ, რომ ვიფიქრე: თავისი სიტყვა ჩინებულად აღუსრულებია და, უეჭველია, შესანიშნავი რამ მოუქმედია, რომ ასეთი ძვირფასი ძეგლი ჰღირსებია-მეთქი. მოუთმენლობამ შემიპყრო; საშინლად მინდოდა მისის წარსულის შეტყობა ამ აზრით გამოვეშურე შინისკენ. ბედად წელანდელი კაცი (რომელმაც გვირგვინი დაადო უცნობის საფლავს) იქვე ყოფილიყო. მივედი ახლოს და ყველაფერი გამოვკითხე. თურმე №-ის ნაცნობი ყოფილიყო და აი რა გადმომცა: თურმე იმ აზრს, რომ ამისთანა ძვირფასი ძეგლი სდგომოდა, ისე გაეტაცნა, რომ ყველა საშუალებისთვის მიემართა, თვით ავ-კაცობისთვისაც-კი და ისე შეეძინა თავისი საოცნებო ძეგლი!

გამოვბრუნდი გულ-დათუთქული, დაძმარებული, ისე რომ მადლობაც-კი ვერ გარდაუხადე იმ კაცს, თითქო ის ყოფილიყოს მიზეზი ჩემის დაღონებისა... მოდი და ნუ მოგიკვდება გული: რა იმედები დამებადა გულში, როდესაც შევხედე ძეგლის წარწერას, და ეხლა-კი რა ულმერთოდ შეეკვეცა ფრთები!.. ისე ვიყავი აღშფოთებული, რომ სწორედ არ მახსოვს შინ როგორ დავბრუნდი.

—

ამ შემთხვევის შემდეგ განვლო რამდენმამე წელმა და ის სასაფლაო მთავრობამ გააუქმა, რადგანაც ქალაქის ზრდის გამო სამარხი ადგილი აღარ დარჩენილიყო. რამდენისამე წლის შემდეგ-კი იმ ადგილას მშვენიერი ეკკლესია იქმნა აგებული, რომელსაც მოხმარდა თითქმის ყველა საფლავის ქვა და, მათ შორის, №-ის ძვირფასი ძეგლიც. მისი ისედაც მივიწყებული სახელი უფრო მისწყდა და ეხლა თითქმის აღარავის ახსოვს. აი ასე უქმად ჩაიარა „საუკუნოდ სახსენებელ“ კაცის სახელმა!

როგორც სჩანს, ჩემო მკითხველო, მარტო ძვირფასი ძეგლი არა კმარა დაუვიწყარის სახელის დამსახურებისათვის, იმისთანა სახელის, რომელსაც ყველა მოწიწებით იხსენიებს.

—

მას შემდეგ, როდესაც-კი გავივლი ხოლმე რომელისამე სასაფლაოსკენ, მაშინვე მომაგონდება ეს შემთხვევა. რაღაც უცნიურის გრძნობით შევყურებ იქ მდგომ ძვირფასს ძეგლებს და უნებურად ვირდგენ თვალ-წინ იმ საოცნებო დროს, როდესაც იმ ფულებს, რომელსაც ეხლა ძეგლებისათვის ვხარჯავთ, საშვილიშვილო კეთილ საქმეებს მოვახმარებთ...

ბ. დავითაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჩნია აქ მიზეზების ჩამოთვლა. იმასკი ვიტყვი, რომ სოფ. ანაგის სამრევლო საეკკლესიო სკოლაში 86—130 მოსწავლეა დ ერთი ამოდენა კიდევ მსურველი სკოლაში შესვლისა, აგრეთვე დიდის სიამოვნებით მაგონდება კარდენახის დედათა სკოლა. რომელშიაც 60 მოსწავლემდეა და მსურველი ამ სკოლაში ადგილის დაჭერისა აუარებელია. არიან ისეთნიც, რომ სწავლის ფასი წელიწადში თუმანი გადიხადონ, ოღონდ ადგილი ჰქონდეთ ამ სკოლაში.

ჩემგან აღნიშნული ფაქტები ეწინააღმდეგება ზოგიერთებისაგან გავრცელებულ აზრს, ვითომ და ჩვენი გლეხი წინააღმდეგი იყოს სკოლისა, სადაც თავის შვილებს არ გზავნის, ვითომ, სხვა-და-სხვა სამეურნეო მოსაზრებით. ვისაც ეს ზღაპარი სარწმუნოდ მიუჩნევია, ამ ფაქტებს ჩაუკვირდეს და დაინახავს, რავდენად ცოდვილია იგი გლეხების ბრალის დადებაში. უნებურად ამ ახალი ტიპის სკოლამ სხვა სკოლებისაკენ გაიტაცა ჩემი გონება და ეხლა-კი ისევ საგანს დავუბრუნდეთ.

„ორ-კლასიანი სამრევლო საეკკლესიო სკოლა“ უნდა გახსნილიყო შილდაში. ვიდრე ეს გარდასწყდებოდა, რასაკვირველია, სოფლების ერთმანეთთან შექიშპება მოხდა, ვინ რავდენს შემწეობას აღმოუჩენდა ამ ახალს სკოლას. შილდამ მეტი დახმარება აღუთქვა, თანაც უჩვენა $3^1/_2$ დესეტინა მამული, რომელიც სოფლის დასავლეთით მდებარეობს და განიყოფება მისგან მდინარე ჩელთით. რადგან ამ მხრივ მახლობლად მდებარეობს სამი სოფელი—საბუე, ნისელი და გრემი, რომლებიც ისევე ისარგებლებდნენ ამ სკოლით, როგორც შილდელები, ამიტომ ამ სამი სოფლის საზოგადოებათაც აღუთქვეს დახმარება შენობისათვის საჭირო მასალის ზიდვითა. ასე გაჩარხული იყო საქმე, დღე-დღეზე შენობის დაწყებას ჰფიქრობდნენ, როცა სამი საჩივარი გაიგზავნა: ყოვლად უსამღვდელოეს ეგზარხოსთან, სამრევლო საეკკლესიო საეპარქიო სამოსწავლო განყოფილებასთან და საეპარქიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველთან. ამ საჩივრებში გამოთქმული იყო აზრი, რომ შილდელებს არა ჰსურთ ნაჩვენებ ადგილის სკოლის გახსნა, რომ უკეთესი იქმნება სკოლის შენობა დაიდგას კონცხზედ, სოფლის აღმოსავლეთის მხრივ, რომ თუ მთავრობა არ დაიშლის და შენობას „იბუჯაში“ ააშენებს, შილდელები ხიდს არ გააკეთებენ ჩელზე და სკოლა მოწყვეტილი დარჩება სოფელზევო.

ნეტა სად იყო ეს მრავალ-ტანჯული იობის ეშმაკი, როცა შილდა სასოფლო ყრილობაზედ სწყვეტდა ამ საკითხსა? თუ ეს იობის ეშმაკი ერთხელ ვერ დაესწრო ყრილობას, მეორეს ანუ მესამეს მაინც დაესწრობოდა და თავის აზრს წარუდგენდა ყრილობასა. მაგრამ იმას უნდოდა ტანჯვა სოფლის საზოგადოებისა; ეს იმ სახით არ მოხდებოდა და ამიტომ დასდგომია იობის ეშმაკის გზასა. მოხსენებულ სასკოლო ადგილების ერთმანეთთან შედარება არცკია შესაძლებელი; იმდენი უპირატესობა აქვს იბუჯას მეორე ადგილზედ და საზოგადოდ მთელი სოფლის სხვა ადგილებზედ, რომ სრულიად მოუხერხებელია შედარება. მარტო ისიც კმარა, რომ ერთად-ერთი წყარო აქვს სოფელს შილდას და ეს წყარო იბუჯადამ რამდენსამე ნაბიჯზეა, სხვა ადგილებიდამ-კი რავდენსამე ვერსზედ.

მაშ, საიდამ წარმოსდგა საჩივრები, რა მიზეზებმა გამოიწვიეს? თურმე ნუ იტყვით, შილდასაც გაჩენია ერთი კეთილ-მსახური იობი; ყველა სხვა სიკეთესთან ამას პატარა დეპო დაუარსებია.

ადგილობრივ ჩარჩებს მოუნდომებიათ ამ პატარა დეპოს გადაყლაპვა, მაგრამ გადასაყლაპს უწყენია, მუცელა შეჰყრიათ და ერთი მეორეს მიყოლებით ანდერძი აჰგებიათ. ამის გამო დაუწყიათ დევნა კეთილმსახურ იობისა: ჯერ მოსულა მისი პირდაპირი უფროსისაგან კაცი გამოსაძიებლად და თან მოუტანია ნუსხა ცოდვათა, შედგენილი და ხელმოწერილი ანდერძ აგებულთაგან უტრიალებიათ იობი, აქეთ-იქით და უმწიკვლო აღმოჩენილა. მერე მოსულა ბ-ნი გუბერნატორის მინდობილობით მაზრის უფროსი ადგილობრივ გამოსაძიებლად და თან საჩივარი მოუტანია სამოცი კაცისგან ხელმოწერი, რომელშიაც ითხოვდნენ იობისაგან დეპოს დახურვასა და სამაგიეროდ ჩარჩების დუქნის დეპოდ დამტკიცებას. აღმოჩენილა, რომ ეს სამოცი სული ჩარჩებისაგან, მათი ცოლებისაგან, შვილებისაგან, ბიძებისაგან, მამიდადეიდებისაგან იყო შემდგარი, და თუ ვისიმე სოფლის ნამდვილი მოჯახის სახელი იყო, ისიც მისდა დაუკითხავად გაჩენილიყო. პატარა დეპოსაგან ანდერძ აგებულ ჩარჩებს და ზოგი ერთ სხვებს გაუხსნიათ დუქანი და ამისათვისაც დეპო დაუძახნიათ. ეს დუქანი რომ დეპოს დაჰმგზავსებოდა, ნოქრებისათვის სახელები შეუცვლიათ: მოსესა მოისეით გადაუკეთებიათ და არტემა იესეით; რომ რითიმე განსხვავებულიყო ნამდვილ დეპოსაგან, შიგ დუქანში საადვოკატო კანტორაც მოუთავსებიათ. ასე გამოწყობილი ყოფილა, როცა მაზრის უფროსს ადგილობრივ გამოუძიებია, რა სარგებლობა მოაქვს იობისაგან დაარსებულს დეპოს და ჩარჩების დუქანს და რომელია ღირსი საზოგადო დეპოდ დამტკიცებისავო.

ადგილობრივ გამოძიებას აღმოუჩენია ყოველივე სივერაგე იობის ეშმაკისა, მაგრამ მაზრის უფროსი ამასაც არ დასჯერებია, თელავს დაუბარებია 12 ამორჩეული კეთილ სინიდისიანი და მათთვისაც უკითხნია, რომელი დაწესებულება არის სოფლისათვის სასარგებლო.

იმათაც ერთხმად ჭეშმარიტება უღიარებიათ. ასე დამარცხება არ უკისრნია იობის ეშმაკს და ახლა სკოლას დასჯახებია. რასაკვირველია, აქაც სამიზნოდ იგივ მრავალ-ტანჯული იობი გაუხდია. საქმე იმაშია, რომ თუ იბუჯაზედ აშენდა სკოლის შენობა, იგი ნამდვილი დეპოს ახლო იქმნება და რასაკვირველია, სკოლა ამ დეპოსაგან ივაჭრებს; თუ მეორე ადგილზედ აშენდა, მაშინ ნამდვილი დეპოსაგან დაშორებული იქმნება და იძულებული გახდება ივაჭროს ჩარჩთა ნანგრევებზედ აღმოცენებულ დუქანში. დეპოზედ და დუქანზედ სიტყვა მიტომ გამიგრძელდა, რომ მეჩვენებინა—სოფელში რავდენად დამოკიდებულია სკოლა სხვა და სხვა ულირს და უცხოსათვის არა საყურადღებო პირობებზედ.

წინათვე დარწმუნებული ვარ, რაკი ეს ორ-კლასიანი სკოლა ჩარჩებისა და სოფლის ცუღლუტების საჯიბრო გახდა, იმას შემდეგშიაც არ მოუსვენებენ, არ დაუწმენდავენ წყალსა. ამ განხეთქილებას შიგ სკოლაშიაც შეიტანენ; სხვა რომ არა იყოს-რა, მასწავლებელთ გადაჰკიდებენ ერთმანეთს. ამისთანა პირობებში რომ არ ჩავარდეს სკოლა, ბევრად უმჯობესია სასკოლე ადგილად არჩეულ იქმნას ენისელი, რომელსაც ზემო დასახელებულ სოფლებს გარდა აგრეთვე დასწვდება: ალმატი ნაფარეული, შაქრიანი, აღდგომა და ტურისციხე. ამასთან, ეს სოფელი გზატკეცილის პირათ არის გაშენებული და გაღმა მხრის ყველა სოფლებზედ უკეთესი სასმელი წყალი აქვს. თუ ალაზნის მარცხენა მხარეს გაიმართება ხსენებული ორს კლასიანი სკოლა, ყველა ადგილებდა სოფლებს ამ სკოლისათვის ენისელი სჯობია. თუ ამ სკოლის გამართვა ალაზნის მარჯვენა ნაპირზედ, შესაძლებელია, თუ საჭიროა გამოირკვას, სად უფრო მეტს სარგებლობას მოიტანს, მაშინ სოფ. შაშიაანს ყველაზედ მეტი უპირატესობა ექმნება, რადგანაც მრავალი დიდ-დიდი სოფელი უძევს ახლოს. მცხოვრებთა რიცხვს მივიღებთ მხედველობაში, ერთი ათად მეტი რიცხვი მცხოვრებლებისა ისარგებლებს აქ, ვიდრე გაღმა მხარეს. ამასთან ალაზანს გაღმა მამული სარწყავია; ურწყავად არა მოჰყავს-რა. გამოღმა-კი ურწყავი. სკოლის ბაღში მცენარეთა კულტურა ურწყავათ უნდა სწარმოებდეს, თუ რწყვით? ეს საგანი მეტათ საგულისხმო და ღირსია სრული ყურადღებისა მათთვის, ვინც ამ სკოლის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებს. ჩემის აზრით მცენარეთა კულტურა ურწყავად უნდა იყოს დაყენებული, რომლის მიზეზებიც უთვალავია და რომელთაგან მე ერთს დავასახელებ, სახელდობრ იმას, რომ კახეთის $^3/_4$ ნაწილი სარწყავ წყალს მოკლებულია.

ახლავე სჯობია, ამ სკოლის საქმე ყოველმხრივ იყოს საფუძვლიანად აწონ-დაწონილი, თორემ მერმე მეტად დაგვიანებული იქნება.

ნადიკვრელი

## რუსეთი

დედათა უმაღლეს კურსებზედ შესვლის მსურველ ქალთა თხოვნების მიღება გასტანს 1-ლ აგვისტომდე. მისაღები გამოცდა კურსებზედ ახლად შემსვლელთათვის არ იქნება. შემოდგომის ეგზამენები მხოლოდ უწინდელმა მსმენელებმა უნდა მოიხადონ. კურსებზედ ახლად მიიღება 300 მსმენელი ქალი. ამ ჟამად წარდგენილია 300-ზედ მეტი თხოვნა. ლექციების კითხვა დაიწყება 1-ლ სექტემბრიდგან.

— ოდესის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა საერო სასწავლებელთა დირექტორების საყურადღებოდ სურვილი გამოსთქვა, რომ საქალაქო სასწავლებლებში შემოღებულ იქმნას სწავლება ახალ ენებისა და აგრეთვე სხვა-და-სხვა სამეურნეო დარგისა, ხელოსნობისა, მესაათეობისა და ფოსტა-ტელეგრაფის საქმისა.

(„ოდ. ფ.“).

— გზათა სამინისტრო ამ მოკლე ხანში განიხილავს შემდეგს საგანს: დაარსებულ იქმნას მოძრავი და პატარ პატარა საავადმყოფოები რუსეთის რკინის გზებზედ.

— „რუსკ. ინვ.“-ის სიტყვით, ციმბირში და კატორგაში გაგზავნილ ტუსაღთ ნება მიეცათ მგზავრობის დროს თან იქონიონ საკუთარი ბარგი და ტანისამოსი—თვითეულმა არა უმეტეს 30 გირვანქისა.

— მიწად მოქმედების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გაწეს-რიგებულ იქმნას აბრეშუმითა და თუთის მოსაყვანად საჭირო მასალებით ვაჭრობა.

— რუსეთის ერთ-ერთ ეპარქიაში სასულიერო მთავრობამ აღმოაჩინა, რომ ზოგიერთს ადგილობრივს მღვდლებს არ აქვთ საძმო ყულაბები, არა სწერენ რვეულებში საძმო შემოსავალს, მთლად თვითონ ისაკუთრებენ ამ შემოსავლის გაყოფის უფლებას, სჩაგრავენ ეკლესიის კრებულის უმცროს წევრთ, რომელთაც ან სულ არაფერს უწილადებენ ამ შემოსვლიდგან, ან ძალიან ცოტას აძლევენ, და ამით აიძულებენ მათ საჩივრები ასტეხონ. ყოველივე ამის თავიდგან ასაცილებლად ყველა ეპარქიების მღვდლებს წინადადება მიეცათ მტკიცედ შეასრულონ სასულიერო უწყების კანონ-დებულებანი და განკარგულებანი საძმო შემოსავლის წესიერად განაწილების შესახებ.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთების სიტყვით, მთავრობის კამისარს რენის სამხედრო სასამართლოში—კარიერს სამოც და ათი მოწმე დაუბარებია დრეიფუსის საქმის შესახებ. მოწმეთა შორის არიან: რესპუბლიკის პრეზიდენტად ნამყოფი კაზიმირ პერიე, სამხედრო მინისტრებად ყოფილნი—მერსიე, ბილიო, ცურლინდენი, შანუანი, კავენიაკი; პოდპოლკოვნიკის ანრის ქვრივი, გენერლები—ბუადეფრი, გონზი, როჟე, დიონი; პოდპოლკოვნიკი პიკარი, პატი-დე კლამი, კიუინიე, გამომძიებელი ბერტილიუსი, პოლიციის უფროსი კოშეფერი; მინისტრებად ყოფილნი—ჰანოტო, ლებონი, გერენი; გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი პალეოლოგი, რამდენიმე დეპუტატი, ექსპერტები, რომლებიც დანიშნულნი იყვნენ დრეიფუსისა, ზოლასა და ესტერგაზის საქმის გარჩევის დროს და სხ. მოწმეები, რომელთაც ჩვენება მისცეს დრეიფუსის გამოტეხის შესახებ, დაბარებულნი არ არიან.

**გერმანია.** ოთხი წელიწადი გადის, რაც ბერლინში პრივატ-დოცენტის არონსის საქმე არჩევს, რომლისთვისაც საერო განათლების მინისტრს ლექციების კითხვის ნება უნდა მოესპო იმის გამო, რომ ის, არონსი, სოციალ-დემოკრატია. არონსი მათემატიკის მასწავლებელია და, როგორც ბერლინის უნივერსიტეტის რექტორმა და სენატმა აჩვენეს, თავისს ლექციებში არაოდეს არ შეჰხებია პოლიტიკას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თუ მხედველობაში გვქონიებთ იმ საგანს, რომელსაც ის ასწავლის. უნივერსიტეტის საბჭო არ ასრულებდა მინისტრის ბრძანებას, ე. ი. არონსს არ ითხოვდა სამსახურიდგან, თუმცა მინისტრი განუწყვეტლად უბრუნდებოდა ამ საგანს. სხვას რომ კედარას გახდა, მინისტრმა შარშან პრუსიის სეიმში შეიტანა დასამტკიცებლად კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც მასწავლებლები უნდა დასჯილიყვნენ თავიანთის პოლიტიკურის მოღვაწეობისათვის, რაც თქმა უნდა, მთავრობისათვის თუ მოსაწონი არ იქნებოდა ის. ამ კანონს ხუმრობით უწოდეს Lex Arons, რადგან გაზეთები დარწმუნდნენ, რომ მთავრობამ მისთვის გამოიგონა ეს კანონი, რომ როგორმე დაესაჯა არონსი. ამ კანონის ძალით, ამ დღეებში გაარჩია არონსის საქმე, ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტის ორმოცის წევრის თანადასწრებით. ბრალმდებელის თანამდებობას ასრულებდა საერო განათლების სამინისტროს წევრი ელსტერი. საქმის გარჩევამ ოთხი საათი გასტანა. სასამართლოს თავმჯდომარემ ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა შვარცმა განჩინება გამოიტანა, რომელშიაც ფაკულტეტის სახელობით ნათქვამი იყო, რომ ბრალმდებლის მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ არონსს პრივატ-დოცენტობის ხარისხი ჩამოერთვასო, დაკმაყოფილებულ არ იქნებაო, რადგან არონსს კანონი არ დაურღვევიაო.

**კრიტი.** ათინიდგან იწერებიან, რომ შვეიცარიელი ეტიენ დე-ბლონე, რომელმაც კრიტის საფინანსო საქმეების კარგად მოწყობა იკისრა, უკვე მოვიდა კრიტში და სამსახური ჩაიბარავო. ეტიენს ორის წლით შეუკრავს პირობა კრიტის მთავრობასთან და წელიწადში 25,000 ფრანკს დებულობს ჯამაგირად. საფინანსო წელიწადი იწყობა კრიტში 1 სექტემბრიდგან და გრძელდება შემდეგ 1 სექტემბრამდე. მომავალ 1 სექტემბრიდგან ოსმალური ფული უნდა გაუქმდეს კუნძულზე და იმის ნაცვლად შემოღებულ უნდა იქმნას ფრანგულ-ბერძნული; დრახმა უნდა უდრიდეს ფრანკს. რამდენი უნდა გადაიხადოს კრიტმა ოსმალეთის სასარგებლოდ, გარდაწყვეტილი არ არის, მაგრამ ჰფიქრობენ-კი, რომ კრიტს ყოველ წლიური გარდასახადი დაედება ოსმალეთის სასარგებლოდაო.

ათინელ გაზეთებისავე სიტყვით, კრიტიდგან გადასახლებულ მაჰმადიანთა ადგილს იჭერენ მაკედონიიდგან და აღმოსავლეთ რუმელიიდგან მოსული ბერძნები. კრიტელები დიდის აღტაცებით ეგებებიან თურმე მათ და ყოველ მხრივ შველიან მოსახლობის მოსაწყობად.

**სერბია.** სერბიის 23 რადიკალთა ჯგუფმა შემდეგის მოწოდებით მიჰმართა ევროპის ჟურნალ-გაზეთებს (მოწოდებას სათაურად აქვს: „მეფე მილანის მოკვლის განზრახვა და რადიკალთა დასი):

„იმ დღიდგანვე, რა დღიდგანაც რადიკალთა დასი საპოლიტიკო ასპარეზზედ გამოვიდა, ეს დასი ენერგიულად და პირდაპირ ებრძოდა მეფის ცბიერებას, რომელიც ერს გაოხრებასა და მომავლის შემწიკვლას უქადდა. მას სწამდა თავისი გამარჯვება მარტო თავისის პრინციპების სიძლიერის მეოხებით და არ ესაჭიროებოდა უკანონო საშვალებანი თავისის გამარჯვებისათვის, მით უმეტეს, რომ მას ზურგი მომაგრებული ჰქონდა ხალხის უმრავლესობის წყალობით. რაკი მისმა მოწინააღმდეგებმა ვერავითარი საშუალებით დასი კანონიერ გზას ვერ ასცდინეს, შემდეგ რამდენჯერმე მეფის წინააღმდეგ შეთქმულობა გამართეს, იმ აზრით რომ

ეს შეთქმულება ჩვენის დასისათვის დაებრალებინათ და ამით იგი ხალხის თვალში გაეშავებინათ და ჩამოეცალებინათ მისთვის დროებით მაინც უგავლენიანესი მეთაურები. მათ ბრალსა სდებდნენ, ატყუსალებდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ფასს ჰმატებდა მათ ხალხის თვალში. რადიკალთა დასს არავითარი ინტერესი არა ჰქონია შეეცვალა თავისი ტაკტიკა. არასოდეს ისე ნაკლებად, როგორც ამ ჟამად, ამ დასს განზრახვა არა ჰქონია მილანისათვის წამებულის გვირგვინი დაედგა თავზედ და გაეკეთილშობილებინა ტრაგიკულის სიკვდილით იმ კაცის სიცოცხლე, რომელიც სავსეა უთვალავ მდაბალ და იუდისებურ საქმეებით. ყველასაგან მოძულებული მილანი ძლივს-ღა ჰზოგინობდა და რადიკალთა დასისათვის აბა რა სასარგებლო იქნებოდა. სულელური საქციელით მხოლოდ დაეგვიანებინა ობრენოვიჩების დინასტიის დამხობა... სალკანები სთხოვენ ევროპის ჟურნალ-გაზეთებს აღიმაღლონ თავიანთი ხმა მილანის დამღუპველ, სასტიკ და უპატიოსნო განზრახვების წინააღმდეგ“.

## ღია წერილი ნოე ჟორდანიას მიმართ.

თქვენ ბრალსა მდებთ, ვითომც მე მეგონოს, რომ „სწორედ ის არის უდიდესი მწერალი, ვინც უდიდესად გამოილანძღება“ („კვალი“ № 25). შემცდარხართ, ბ-ნო ჟორდანია, ამისთანა სისულელე ჩემს დღეში არ მაფიქრია, ხოლო იმისი მომხრე-კი გახლავართ სწორედ, რომ ყოველს საგანსა თუ მოვლენას თავისი სახელი ეწოდოს. აქ კი ნურას უკაცრავად, თუ გაწყენინეთ. მაგრამ საკვირველია, რათ უნდა გეწყინოთ: ყოველი ნომერი თქვენის გაზეთისა ამტკიცებს, რომ რომ არც თქვენა ბრძანდებით „ინსტიტუტკა“.

თუ უკანასკნელს ხანებში „ლანძღვის კორიანტელია ატეხილი“ თქვენს წინააღმდეგ, ამისი მიზეზი ისევე თქვენა ხართ. პირველ დამწყების სახელი და გვირგვინი ყოველს ამისთანა შემთხვევაში უცილობლად თქვენ გეკუთვნით. მოიგონეთ შარშანდელი წელიწადი. არ დარჩენილა, მგონი, არც ერთი ადამიანი საქართველოში, რომ თქვენ თქვენი ბასრი კბილი არ გაგეკრათ: გ. ღორთქიფანიძე, ფაღავა, „წერა-კითხვის საზოგადოება“, „დრამატიული საზოგადოება“ და მრავალი სხვა. დიდხანს ითმინეს იმ კაცებმა: „полаетъ, да отстанетъ“-ო, ჰფიქრობდნენ. თქვენ-კი თვით ეს მათი დუმილი კიდევ უფრო გაბრაზებდათ,—რა ამბავია, რატომ ყურადღებას არ მაქცევენო, ცრემლმორეული იძახოდით (იხ. შარშანდელი ზაფხულის ნომრები) და თქვენსას-კი მაინც არ იშლიდით, მაგრამ, რასაკვირველია, მოგეხსენებათ, მოთმინებასაც საზღვარი აქვს. ახლა ისინიც ალაპარაკდნენ. რა თქმა უნდა, ამ ლაპარაკში თქვენთვის სასიამოვნო არა გახლდათრა. ლანძღვა-თრევის საპასუხოდ „შენი ჭირიმეს“ არავინ მოგახსენებთ. ეს წინდაწინვე უნდა გცოდნოდათ. „Любишь кататься, люби и саночки возить“-ო, ნათქვამია. ასე რომ ნუ გიკვირთ, თუ ანწლმა ყურძენი არ მოგართვათ. ნათქვამია, რასაც დასთესს, იმას მომკიო.

ახლა გადაათვალიერეთ „კვალის“ წრევანდელი ნომრები. ღმერთო დიდებულო, რასა ჰგავს ეს გაზეთი? დარწმუნებული ვარ, რომ რამდენისამე ხნის შემდეგ თქვენ თითონ არა ერთხელ გაწითლდებოდით, როცა ამ ორის წლის „კვალს“ მოიგონებთ. არ ვიცი სწორედ, რომელი უწესო საქციელი გავლიათ: მოკამათის ვინაობისა და ხელობის გამოაშკარავებას თქვენ თხოულობთ, ფსევდონიმებსაც თქვენ ამჟღავნებთ („ვარ“), „დანოსებსაც“ თქვენა სწერთ (ყაზახაშვილი). (მარტო ეს საქმე საბუთი საკმარისია, რომ თქვენს გაზეთს(?) ზედაც არ შეხედოს კაცმა). მართალია, უწესო პოლემიკა ჩვენს მწერლობაში „არ ახალია, ძველია“, მაგრამ ამისთანა სიწამხდრე, მართალი უნდა მოგახსენოთ, არ მაგონდება.

შემეძლო კიდევ უფრო დაწვრილებით დამესაბუთებინა ეს აზრი, მაგრამ კაშრის („ისიც ოსტროვსკის ტიპის მოსკოველი კუპცისა“) ხელობის დრონებას არ მაძლევს, და ან-კი რისთვის? რაც უნდა ვეცადო, წინდაწინვე ვიცი, რასაც იტყვით: „ამათ რომ ჰკითხოთ, რა განმრევთ (დაგელოცათ ენა!), რამ აგიტაცათ, რა საბუთი გაქვთ ან ქებას და ან ძაგებას—პასუხს ვერ მიიღებთო... არც ერთი საბუთი, არც ერთი წერილის გარჩევა და სერიოზული გარჩევაო“. აშკარაა, თქვენი თავი იმისთანა კონსტრუქციისა ყოფილა, რომ მარტო ფიზიკურ ფაქტებს თუ იგრძნობს, თორემ ლოგიკურს-კი ვერა. სჩანს, თქვენს თვალში თქვენი ზამზაცკი ჩხრიალებს და სხვისი კაკალიც არა. ამისთანა კაცთან ლაპარაკი ძნელია სწორედ მოგახსენოთ.

ვიმეორებ, არ უნდა გეუცხოვოთ, თუ მე რომელსამე მოვლენას ნამდვილი სახელი ვუწოდე. როდესაც თქვენ, მაგ., თქვენის უმეცრების დასაფარავად მოკამათის ვინაობასა და ხელობას ჰკითხულობთ, არ შემიძლიან არა ვთქვა, რომ უკიდურესი უწესოება შემოგაქვთ ქართულს მწერლობაში. ამისთანა ლიტერატურული უზრდელობა ღმერთმა, ევროპა-მოვლილ პუბლიცისტებს კი არა, ჩემისთანა გაუნათლებელ „ვილაცასაც“ ნუ ჩაადენინოს. ეს ევროპა კი არა, „პაპუას-პოშეხონია,“ ჩემო ბატონო! როცა თქვენ ამის შემდეგ სწერთ: „ავტორის ვინაობას არ ვაცხადებთ, რადგან ეს წესი არ არის“ („კვ.“ № 25), არ შემიძლიან არა ვთქვა, რომ დავთარი გებნევათ, როდესაც ერთს ნომერში აცხადებთ,—ამ საგნის შესახებ არაფერს ვიტყვითო, ვიდრე ფსევდონიმი არ გამოჰქვეყნდებაო და მეორეში-კი ამისდა მიუხედავად, იმ საგნისვე შესახებ წერილებს ბეჭდავთ, აქაც ვიტყვი, რომ დავთარი, გებნევათ როცა რომელსამე თქვენდა მომართულს წერილში კითხვა, ან წინადადებაა აღნიშნული და თქვენ კი მიგ „ოსტროვსკის კუპცების კრიტიკულ ავლა დიდებას“ (შეუდარებელი ოხუნჯობაა, თქვენმა მზემ) ჰპოულობთ, შეუძლებელია დავთარ-დაბნეულ კაცად არ ჩაითვალოთ,

ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ბ-ნო ჟორდანია, და მე კი მგონია, რომ ამისთანა კაცის პუბლიცისტობას დიდი ფასი არა აქვს.

მე კი უმადურად მომექეცით სწორედ. იმდენად თავაზიანი კაცი შეგიქენი, რომ თხოვნა აგისრულეთ და შეგატყობინეთ, რა ხელობისაცა ვარ; თქვენ კი ნაცვლად იმისა, რომ „წერილის გარჩევა და სერიოზულ სინიდისიანი აწონ-დაწონა“ წარმოგედგინათ, იმათი-ღა დაგმიყოფილდით, რომ ოსტროვსკის კაშრებს შემადარეთ. მაგრამ იქნება გგონიათ, რომ უბილო ოხუნჯობა „სერიოზულ აწონ-დაწონას!!“ უდრის კიდეც?!. ამით კათავებ, ბატონო გამოჩენილო საზოგადო მოღვაწევ, (sic.) თქვენთან გამათსა. უფალმა ნუ მცვავლოს თქვენი წყალობა და ხელმძღვანელობა.

დავშთები მოსკოველი დროებითი ვაჭარი სანდრო კვალიაშვილი.

## დამაკვირდი

—

სიბრძნე და წურთილებაი, ვითარცა სამოთხე შვენიერი, ყოველსავე კეთილსა მოიღებს.

საეკლ. მუზ. № 153

* * *

თათარი რომ ველური არ ყოფილიყო, განაღა დაანგრევდა თამარის შვენიერ პალატებს?

ლასურიძე

* * *

ყოველსა კაცსა ორი ჩახვი ჰკიდავს: ერთი წინათ და ერთი უკანით; წინათ რომელი ჰკიდავს, სხვისა აუგით სავსე არს და უკანა—თავისა აუგითა, მით სხვათ არა ხედავს და თავისასა ვერ ჰხედავს.

ფილოსოფ. პლატონ

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

კასსელში (გერმანიაშია) თვალის ექიმებს პირი შეუკრავთ და მუშაობა აუკვეთნიათ. მუშაობის აკვეთის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ქალაქის თვით-მმართველობას ახალი ტარიფი გამოუცია თვალის მკურნალობისა. ამ ტარიფით თვალის ექიმებმა მცირე სასყიდელი უნდა აიღონ ქალაქის მცხოვრებთაგან. თვალის ექიმებს სხვა ექიმებიც მიმხრობიან და იმათაც აუკვეთნიათ მუშაობა.

* * *

შესანიშნავი მომღერალი ქალი მელბა თავისის კონცერტებით დიდ ძალს ფულს იღებს თურმე. თითო კონცერტში მელბა დღემდის 3,000 მანეთს იღებდა; დღეს-კი ამერიკიდგან დაბრუნების შემდეგ, 4,500 მანეთს იღებს. მიუხედავად ასეთის დიდის ფასისა, მელბას ძალიან ხშირად იწვევენ კონცერტებზედ. ამას წინად, მაგალითად, ერთის კვირის განმავლობაში ცხრაგან მიუწვევიათ. რასაკვირველია, ყველგან ვერ წავიდოდა, მაგრამ გინდაც რომ ექვსგან წასულიყო, ერთ კვირაში, ამ რიგად, 24,000 მანეთს აიღებდა.

* * *

მომღერლებს არც მწერლები ჩამორჩებიან: ისინიც კარგა დიდ სასყიდელს იღებენ. დიუმა-მამას, მაგალითად, როგორც თვით გამოუცხადებია 1848 წელს, თავისს ნაწერების წყალობით თვითონაც დიდ ძალი ფული შეუძენია და სხვებისთვისაც შესამჩნევად გასქელებია ჯიბეები. „ექვსი წელიწადი, უთქვამს დიუმას, სასწავლებელში ვსწავლობდი, ოთხი წელიწადი ნატარიუსთან და 7 წელიწადი ბიუროში ვმსახურებდი. ეს 17 წელიწადი რომ არ ჩავთვალო, ამას გარდა 20 წელიწადს დღეში ათ-ათ საათს ვმუშაობდი, ე. ი. სულ 73,000 საათი მიმუშავნია. ამ 20 წლის განმავლობაში დავწერე 400 ტომი რომანი და 35 სათეატრო პიესა. რომანებიდგან შემოსავალი მქონდა სულ 11,856,000 ფრანკი, პიესებიდგან (თითო პიესა ას-ასჯერ წარმოადგინეს)—6,230,000 ფრანკი.

„ჩემის წიგნების წყალობით, ასოთ-ამწყობებმა აიღეს 264,000 ფრანკი, სტამბის პატრონებმა—528,000, ქაღალდის გამყიდველებმა—633,000 ფრ., ყდის გამკეთებლებმა—120,000 ფ., წიგნების ვაჭრებმა—2,400,000, ნოქრებმა—1,600,000, კომისიონერებმა—100,000, სამკითხველოებმა—4,583,000, მხატვრებმა—28,000,—სულ—11,856,000 ფრანკი, ე. ი. იმდენივე, რამდენიც მე ავიღე.

„ჩემმა პიესებმა იმპრესარიებს შესძინეს 1,400,000 ფრანკი, არტისტებს — 1,225,000, დეკორატორებს—210,000, ტანისამოსის შემკერავთ—140,000, თეატრის პატრონებს — 700,000, სტატისტებს — 350,000, პოლიციას და ცეცხლის მქრობელ რაზმებს—70,000, იმათ, ვინც თეატრში დურბინდებს აქირავებენ—70,000, მოსამსახურეებს—50,000, ქაღალდის ქარხნის პატრონებს—60,000, მემუსიკეთ—257,000, აფიშის გამკვრელთ—80,000, ღარიბებს—630,000, რეჟისორებს—20,000, დამხმარე საზოგადოებებს – 60,000, კანტროლიორებსა და კასსირებს—140,000, მაშინისტებს—150,000, პარიკმახერებს—93,000, სულ 6,230,000 ფრანკი“.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

20 ივლისი.

**პარიჟი.** დიუ-პატი-დე-კლამი, გამოძიების გათავების გამო, განთავისუფლებულ იქმნა სატუსაღოდგან.

**ბრიუსელი.** მინისტრთა საბჭო შეიკრიბა დილით. მინისტრებმა ერთხმად აღიარეს, რომ, საარჩევანო რეფორმის კომისიის გუშინდელ კენჭისყრის გამო, კაბინეტი სამსახურიდგან უნდა გამოვიდესო. ბჭობის შემდეგ მინისტრ-პრეზიდენტმა მეფეს თხოვნა წარუდგინა მთელის კაბინეტის სამსახურიდგან გამოსვლის შესახებ.

**კალი**. ჩრდილოეთიდგან დაბრუნების შემდეგ იმპერატორმა მიიღო დანიის ჯავშნიან გემის „ივერის“ უფროსი.

**ბრიუსელი.** კაბინეტის თხოვნა სამსახურიდგან გამოსვლის შესახებ გამოიწვია კომისიის მიერ საარჩევნო რეფორმის უარ-ყოფამ.

## შემოწირულება

ჩვენ მივიღეთ ცხეთის ტაძრის განსაახლებელ თანხის სასარგებლოდ ლევან ფირცხალავას მიერ შეგროვილი 14 მან. 65 კ. ეს ფული შემოსწირეს: ლევან ფირცხალავამ 1 მან., ქეთევან ფირცხალავამ 1 მან. თომა ფირცხალავამ 1 მან., იაკოფა მოწაფიამ 10 კ., დიმიტრი ჩარგეიშვილმა 10 კ., ნიკოლოზ ჩარგეიშვილმა 10 კ., ივანე ჩარგეიშვილმა 10 კ., ვასილ რუხაძემ 50 კ., გოქო სტეფანოვმა 20 კ., რაფო თორომანოვმა 10 კ., იოსებ ხეჩატუროვმა 20 კ., სედრაკ მიხაილოვმა 10 კ., პრასკოვია დოშაკოვისამ 10 კ., აგაშა მიხაილოვისამ 10 კ., კლიმენტი ვაშაკიძემ 15 კ., იოსებ ჯოხაძემ 15 კ., დონია ხალათოვმა 30 კ., ევდოკია ხალუევკამ 10 კ., კირილ ხალათოვმა 10 კ., ეკატერინე ხალათოვმა 50 კ., პეტრე ცარევმა 30 კ., ელენა ტაიროვისამ 1 მან. ზოსიმე ბალავაძემ 20 კ., ტარასი ჩარგეიშვილმა 20 კ., ფარნა ნინუამ 20 კ., ვლადიმერ ჯიბლაძემ 20 კ., რაჟდენ მიქაძემ 20 კ., ლუკა ჯიბლაძემ 20 კ., ვლადიმირ სანოძემ 20 კ., კოწია ბაქრაძემ 20 კ., სამსონ ფირცხალავამ 20 კ., ალექსანდრე სალარაძემ 20 კ., ილიკო ბაქრაძემ 20 კ., თევდორე ვაშაკიძემ 20 კ., ვასილ კიკნაძემ 50 კ., მათე ფხალაძემ 50 კ., ვანო კაშიამ 20 კ., გიორგი ბაქრაძემ 20 კ., მელიტონ კაკაურიძემ 20 კ., მელიტონ მიქაძემ 20 კ., მარკოზ კიკვაძემ 20 კ., სვიმონ ვაშაკიძემ 1 მან., შაინა არაჯიანცმა 15 კ., ვანო რატიანმა 50 კ., მიხა ფირცხალავამ 20 კ., ეფემია ძნელაძემ 40 კ., გოგუცა ძნელაძემ 20 კ., კოსტა ვაშაკიძემ 30 კ.,


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება **ქუთაისში**—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; **ყვირილაში**—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; **ბათუმში**—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); **სამტრედიაში**—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. **კუხში**—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—8) ნ. წერეთელი

ჩვენ გამოცემული გვაქვს საუკეთესო

**პაპიროზის ქაღალდები**

ყაზბეგისა და მამია გურიელის სახეების ზედ გამოხატვით.

მათი ყალბი მიმსგავსება უკვე გამოვიდა.

**სიყალბეს ერიდეთ!**

სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები“, ქუთაისი.

(10—1)

**საკომერციო კურსები**

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო კონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და მნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის ბირდაპირ.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—11)


Дозволено цензурою, Тифлисъ 21-го Іюля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.